№ 10 იანვარი 13, კვირა 1891 იანვარი 13, კვირა № 10

გაზეთის ფასი

| თვეზე | მან. | კ. | თვეზე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 16 იანვარს.

## ა. ი. ფიურერის ცირკი

12 იანვარს პროფესორ ბონეტის გამოსათხოვებელ საბენეფისოდ იმის გაწვრთნილ ცხოველების მონაწილეობით იქნება საუკეთესო წარმოდგენა მონაწილეობით აგრეთვე უშიშარის ცხენოსანის სიჩოვისა. დასასრულ ითამაშებენ ჩინებულს პანტომიმას:

ბრაკონიერები.

ორშაბათს, 14 იანვარს, გამართული იქნება საუკეთესო წარმოდგენა ცნობილ გერკულესების ძმ. აზონთა საბენეფისოდ, რომელნიც საზოგადოებას აჩვენებენ წესს ფრანგულ ჭიდაობისას, აგრეთვე ერთი ძმა მეორეს აიყვანს ცალის ხელით და მთელს დარბაზს შემოატარებს. ამ წარმოდგენაში განსაკუთრებით მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები: სიჩოვი, ვილსონი, სტარიჩკოვი, ელიზა სერჟი და სხ. დასასრულ დასდგამენ ერთს საუკეთესო პანტამიმათაგანს.

ყოველ დღე ვმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის მლიერ დაკლებულის ფასით და საღამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ-ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, საღამოსი—8 საათზედ.

სახალხო თეატრი

ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მამულში.

კვირას, 13 იანვარს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება უკანასკნელად *)

I

ლამე ერთი ცხვარი ხეარია

კომ. 1 მოქმ. გ. სუნდუკიანცისა.

II

ჯიბგირი

ანუ

ქურდის ქურდი ცხონებულია

ვოდ. ა. ჰაზირახი.

*) დასი მიემგზავრება ტფილისიდამ სხვა-და-სხვა ქალაქებში.

III

## ბრაზიანი ამერიკელი

ვოდ. 1 მოქ.

დასასრულ სცენებს წაიკითხავენ: ბ. ადამიძე—იმერლების ცხოვრებიდამ, ბ. გამყრელიძე—სხვა-და სხვა სცენებს, ბ. ნებიერიძე—ქართლ-კახელების ცხოვრებიდამ.

ანტრაქტებში დაუკრავს და იმღერებს ქართულ ნაციონალურს სიმღერებს ჭაზირას დასი.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3 4, 5. 6, 7, 8—1 მან. მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეია: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

## ქართული თეატრი

სამშაბთს, 15 იანვარს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

დამარცხებულნი

მელოდრამა 4 მოქმედ. თხზ. პ. უმიკაშვილისა.

ამ წარმოდგენაში ბატ. სვიმონიძე უკანასკნელად მიიღებს მონაწილეობას.

II

დივერტისმენტი და ლეკური

მოთამაშენი: ქქ-ნნი ჩერქეზიშვილისა; ბ-ნი სვიმონიძე, საფაროვი და ივანოვი.

მომქმედნი პირნი: ქქ-ნნი საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ტატიშვილისა, ტარიელოვისა; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათირიშვილი, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

ანონსი: მზადდება ახალი პიესა «ავაზაკები» ტრაგედია 5 მოქმედ. შილლერისა.

გამგეობა ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად მისის განაჩენისა 29 გასულის დეკემბრიდამ, ვადა გასყიდვისა იმ ზემოხსენებულს ბანკში დაგირავებულთა მამულთა, რომელთამებრ არ შემოსულა გასულის წლის მეორე ნახევრის სარგებელი,—შეიცვალა და დაინიშნა ახალი: ა) თხუთმეტი (15) თებერვალი ამა წლისა - მამულთათვის, რომელნიც მდებარეობენ ქუთაისის გუბერნიის ქალაქებსა და მაზრებში და ქ. ახალციხეში; ბ) ცხრამეტი (19) იგივე თებერვალი-მამულთათვის, რომელნიც მდებარეობენ ქ. ტფილისს და ტფილისის და გორის მაზრებში; ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა არის დანიშნული: პირველთა მამულთათვის ოთხს (4) და უკანასკნელთათვის შვიდს (7) მარტს ამა 1891 წლისა.

ტფილისი, 12 იანვარი

რუსეთის ტახტის მემკვიდრე ცესარევიჩი ნიკოლოზი დიდის ამალით და დიდის ხნობით გაემგზავრა აღმოსავლეთისკენ. მართალია, ეს შინაური საქმე შეეხება მარტო რუსეთს, მაგრამ ევროპის გაზეთებმა მოგზაურობა მემკვიდრე ცესარევიჩისა გაზვიადეს და მისცეს საპოლიტიკო მნიშვნელობა. გაზეთები ისე უყურებდნენ ამ გარემოებას, როგორც საიმედო ნიშანს მშვიდობიანობისას და აღარ სწამებდნენ რუსეთს სხვა-და-სხვა დაფარულს განზრახულებას.

პირველშივე გაისმა თუ არა ხმა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი აპირებს აღმოსავლეთისაკენ გამგზავრებასაო, გაზეთებმა იმაზე გამართეს საუბარი, რა გზით წავა ინდოეთსა და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენაო. ბალტიის ზღვით ძალიან შორს მოსჭრიდა; თუ შავის ზღვით გაემგზავრებოდა, უსათუოდ ცესარევიჩს უნდა შეევლო სტამბოლში და ენახულა სულთანი აბდულ-ჰამიდი. სულთანიც დიდის სიამოვნებით და ამბით აპირებდა დახვედრას უმაღლესის სტუმრისას, მაგრამ იმედი გაუმტყუნდა.

ცესარევიჩმაც ეს გზა ამოირჩია. ვენაში ცესარევიჩი დიდის ამბით მიიღეს. იმპერატორი ფრანც იოსები, ერცჰერცოგი კარლ-ლიუდვიგი მეტად კმაყოფილნი დარჩნენ ცესარევიჩის წვეულობით. ოფიციალური გაზეთები გულ-მოდგინებით ქება-დიდებას ასხამდნენ რუსეთის ხელმწიფის მშვიდობის მოყვარეობას. რასაკვირველია, ძნელია იმის გამოცნობა, რამდენად

## ფელეტონი

### სურათები და მოჩვენებანი

(პოემა)

I

რამდენნი დრონი წასულან,
ვინ იცის, ამას წინედა,
რამდენნი მთანი ჰყუდიან
წარსულთა საუკუნეთა,
რაც გაჩნდა ადამიანი
და მოდის მძიმე მძიმედა.
ვინა თქვას ნეტა, მას აქეთ,
რამდენი დრო და ხანია?
რამდენს გაზაფხულს მთა-ბარზედ
მწვანილი მოუყვანია;
მიწას უწოვავ და ცათა
ხელ-პირი დაუბანია?!
მას აქეთ კაცის სიცოცხლე
ჩანთქა მედგარმა ბრძოლამა,
იმის ფიქრი და წადილი—
სულ უმჯობესის ნდომამა,
მაგრამ რა მისცა ამისი
ფასი შრომამ და კვდომამა?
სიკვდილ-სიცოცხლე ერთი აქეთ
რაც ძველსა, იგვე ამასა...
ვითომ რა გადააჭარბა
ტრფობას, ძილს, სმას და ჭამასა?
რა შეიძინა ახალი,
რითი აჯობა მამასა?
ეს არის ჩვენი სიცოცხლე,
ამად შევხარით მზესაო...
ჯერ ვერ სადმ მოვალთ გულის-ხმას,
მუქთად ვალამებთ დღესაო;
მოვალთ—მზე მიჯარებულა,
ჩრდილი აჰსვლია მთებსაო;
კარზედ გვადგება სიკვდილი,
ყელზედ მოგვაბამს წნელსაო:
ერთი რო ესხმის, სხვა სცვივა,
როგორც ფოთოლი ხესაო!
ასე იქნება შემდგომაც,
უწინაც ასე ყოფილა;
ვერ მოჰრჩომია სიკვდილსა,
ვინც ხორციელად შობილა...
ტიალი წუთი-სოფელი
ვერავინ გაიმმობილა!
დრო-კი თავისას არ მოჰშლის
სვლასა და მდინარებასა;
ჩაცმა-დახურვას ბუნება,
მზე, მთვარე—ცაზედ რებასა;
ყვარებას—ქალი და ვაჟი,
საწუთრო—ნეტარებასა...
ვინ იტყვის, კარგი არ იყოს,
ცათა ედემის სადარი
ბუნება მიწა-წყალითა,
ტურფა ტყე-ველით შამხდარი,
მაღლა მზითა და მთვარითა
დაშვენებული მთა-ბარი?!
მერე ეს ჩვენი ქვეყანა
საყვარელია ბევრითა:
თავის ბაღ-ბაღჩა-ვენახით,
რწყული სამოთხის წყლებითა;
ყვავილ-ბალახით ქარგულის,
ჩამოხატულის მთებითა!
გენაცვლე, ჩვენო ქვეყანავ,
ბევრჯელ ვინატრებ ემასა:
ნეტა სულ გადმოგწვდებოდე,
ხელს რო გავშლიდე ნებასა,—
გადმოგეხვიო, დაგკოცნო
შვილმა საყვარელს დედასა!
რამდენჯერ ვიტყვი ჩემთვისა:
„რა უჭირთ მოკლე-ფრთიანთა
კაცთა, სმა-ჭამის მიმყოლთა,
ცოლ-შვილით დოვლათიანთა:
სცოცხლობენ, არ-რას დარდობენ,
ოღონდ არ მიჰხვდნენ ზიანთა;
მოკვდნენ, არც იმას ჰნაღვლობენ—
გზათ ჰხედვენ ყვავილიანთა“.
ბევრჯელა მცადა საწუთრომ,
მკლია, თვალები მისწორა;
რომ არ შევხედე, დამიჯდა,
ბუწუწი გადაისწორა:
რამდენიც თვალი შეჰჭარდა,
იმდენი გულმა იშორა...
ვერ შევიყვარე, თუმც დიდხანს
წითელი კვერცხი მიგორა!
დეე მეც, როგორც სხვა-და-სხვა,
ჩანმთქას, შემმუსროს მიწამა;
ნუღარ გამათბოს თვალებმა
ჩემის ხორციელის მზისამა;
სიტკბომ და სხივმა იმისამ
მორცხვობით საუბრისამა,—
განა ეს არის სადარდო?
გულიც ასე სჯის, ცნობაცა:
„ჯანაბას ჩემი სიცოცხლე,
ჯანაბას ჩემი ყოფაცა,
მათქვამს: „რაც ქვეყნის ნახირსა,
ის ბეჩავს ბებრის ხბოსაცა!“
სხვადა მაქვს სასამდურაო,
სხვადა გულისა წყრომანი:
შეძლება ორი-სამი მაქვს
და უთვალავი ნდომანი...
ასე სუსტს, უძლურს ლეშშია
სულთა რადა აქვთ დგომანი?
ხან-კი რომ მკითხოთ: „რა გინდა?“
პასუხი გამიჭირდება.
ვიცი, რომ მზეზედ აქედგან
კაცი ვერ გადაფრინდება.
„ფადეგ, დასჯერდი,“ თავს ვუთხრა,
გონება ამიხირდება:
ვწყევლი თავს, ცას და ქვეყანას,
სულ-გული ამიტირდება!
ყოველ მხრივ იმედ-მიხდილი
ბჭესავ შავხედნებ ცისასა,
იქიდამ ველი დახსნასა
უშველებელის ტყვისასა.
იტყვიან: „წყლის წაღებული
ხავს ეჭიდები ქვისასა,“
თორემ ვინ შესძლებს შეცვლასა
შავის და ბნელის გზისასა?!
დიდი ხანია მოწყალე
ძალნი დადუმდნენ ზეცაზედ,
დიდი ხანია მიაგდეს
ქვეყანა თავისს ნებაზედ,
ვლარც გაიჩუჩუნებენ
მეტყველთა ღაღადებაზედ.

ბაჩანა

1890 წ.

## ბლუკუნა

(სახელდახელო და უგზო-უკვლოდ-წყალ-წაღებული წერილები)

I

მოგვილოცავს ახალი წელი, მკითხველო! იქნება იფიქრო, ერიჰაა, ამ კაცს რატომ ასე მოჰგვიანებია, ეტყობა ენით ბლუ არც ფეხით იქნება მართალი, რომ ასე გვიან წამოესწრო ქამთა ცვლის დღესასწაულსაო, მაგრამ უსამართლობა მოგივათ. ჯერ ერთი, ნუ დაივიწყებთ, რომ გვიან მომსვლელს გვიანვე მოუხდება დაბრუნება და მეორე, ვინ იცის, თქვენ-კი სწორედ დაიბერეთ თავი?.. ერთმა რუსეთის ჟურნალმა თავისი მკითხველები 9 დეკემბერს დააბერა გოზინაყით და აი როგორ დაასაბუთა ეს უცნაური საქციელი.

ჩვენში ახალი წელიწადი იწყება 9 დეკემბერს, საღამოს 11 საათსა და 14 წუთზეო. გაზაფხულს დღე-ღამეს 8 მარტს უთანასწორდება, შემოდგომას—11 სექტემბერს; ჩრდილოეთ ტროპიკიდგან მზე სამხრეთისკენ 9 ივნისს იბრუნებს ხოლმე პირს, სამხრეთიდგან ჩრდილოეთისკენ—9 დეკემბერს. სულ ერთია, ამ ოთხს ხანში რომლიდგან დაიწყებთ წელთა თვლას. ჩვენი წელიწადი უკანასკნელიდგან იწყება, ხოლო 21 დღე-კი შეცდომით მეტი აქვს მითვლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულწრფელია ესეთი სასიამოვნო სიტყვები.

უფრო მეტად აალაპარაკა ევროპიის გაზეთები ინგლისის მეთაურის, მარკიზ სალისბერის სიტყვამ, რომელიც წარმოსთქვა ლორდმერის სადილზე. აქამდისინ ინგლისის გაზეთებიც და სახელმწიფო კაცნიც კონსერვატორების დასისა ნდობით არ უცქეროდნენ რუსეთს და ყოველთვის იმას ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთი სანდო სახელმწიფო არ არისო, რომ მისი პოლიტიკა გულწრფელი არ არის, რომ დღე-ღამ რუსეთი სულ იმის ზრუნვაშია, სხვას რამე წაჰგლიჯოს და თითონ ძალმომრეობით დაისაკუთროსო; დღეს-კი მარკიზ სალისბერიმ სულ სხვა კილოთი დაიწყო ლაპარაკი. „რუსეთის ტახტის მემკვიდრის ბობრძანება ინდოეთში როგორც დედოფლის და ინდოეთის მთავრობის სტუმრისა, უნდა ჩაითვალოს, სთქვა სალისბერიმ, ბედნიერ ნიშნად იმისა, რომ ევროპიის მშვიდობიანობა შეურყეველია და საფრთხე აღარსაიდან მოელისო“. ეს ამბავი ისე საოცარი და მოულოდნელი იყო კონსერვატორებისათვის, რომ დიდად გაცვიფრდნენ და სიამოვნების ნიშნად გადასწყვიტეს მეტის-მეტად დიდის ამბით და დარბაზობით დაუხვდეთ ცესარევიჩს ინდოეთშიო.

კონსერვატორების სიხარულსაც ადამიანი ეჭვის თვალით უნდა უცქეროდეს. საქმე იმაშია, რომ ახალის არჩევანების დრო მოახლოვდა და, რადგან გლადსტონის თანამოაზრეთ რამდენსამე ადგილს გაიმარჯვეს, ამიტომ კონსერვატორებს გულში შიში შეეპარათ, ვაი თუ გლადსტონის მომხრეებმა გვაჯობონ და გამგეობა ქვეყნისა ხელიდან გაგვისხლტესო. გლადსტონი რუსეთის შესახებ არ მისდევს რიხიანსა და მუქარის პოლიტიკას; ეს კონსერვატორების საქმეა და აი რომ მოიგონ გული ამომრჩევლებისა, სთქვეს, არც ჩვენა ვართ რუსეთის წინააღმდეგნი და ომის მოსურნენიო, სიამოვნებით ვეგებებით მემკვიდრე ცესარევიჩს და დიდს ღარბაზობასაც ვუწევთო.

ასეა თუ ისე, ყოველის მხრიდან გაისმის მშვიდობიანობის ხმა, მხოლოდ სლავიანთა ტომის სახელმწიფოებში არ იქნა, ვერ ჩამოვარდა მყუდროება. ჩეხები თხოულობენ, რომ მათი ენა იქმნას აღიარებული სახელმწიფო ენად. სეიმის კრებაზე დეპუტატმა ვაკატიმ სახელ-განთქმულ რიგერს, რომელსაც ასე დიდი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე, სამშობლოს მოღალატე დაუძახა. ეს შეურაცხება იმისთვის მიაყენა დეპუტატმა ვაკატიმ სახელოვანს მოხუცს, რომ სტაროჩეხების დასი, რომელსაც მეთაურობს რიგერი, ისე თამამად არა თხოულობს ავსტრიისაგან სხვა-და-სხვა სათხოვარს შესახებ ეროვნობისა, როგორც მლადოჩეხები. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ მორავიის სეიმზედ ერთმა დეპუტატმა დაქინებით მოითხოვა, ავსტრიის მხედრობა სლავიანურს ენაზე ლაპარაკობდესო. ეს არაფერი. პოტარაერნიც, როგორც სლოვენები, ხორვატები საქმეს უჭირვებენ მთავრობას, არ იქმნება, თუ მართლმსაჯულება ჩვენს სამშობლო ენაზე არ გვექნაო.

ვერ ჩამოვარდა მშვიდობიანობა აგრეთვე მრავალ-ტანჯულს სერბიაში. ადრინდელი მეფე მილანი გაჰქრა ბელგრადიდან და არავინ იცის, ეხლა სად იმყოფება, ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ შეჭამა. მილანი წავიდა, მაგრამ დედოფალს ნატალიას მაინც სურვილი არ უსრულდება, ინახულოს თავისი შვილი ალექსანდრე, როდესაც სურს. მცირე წლოვანს მეფეს ძალა დაატანეს მიეწერა თავისს დედისთვის, განქორწინების საქმეს თავი დაანებე სამუდამოდ, თორემ ყოველ კავშირს მოვსპობ შენთანო. გულზე ცეცხლად მოედო დედას ასეთი შეუსაბამო წერილი თავისის მცირე წლოვანის შვილისა. ამის გამო ასეთი ბარათი მისწერა დედამ შვილს: „მებრალები, რომ ასეთი საქციელი გაგიზრახია. თუ აღსრულებაში მოიყვან შენს მუქარას, დაჰკარგამ პატივისცემას არამც თუ შენის ქვეყნისას, არამედ მთელის განათლებულის ქვეყნისასაც. მეფესაც უნდა ჰქონდეს გული, უამისოდ გამოიწვევს ზიზღსა და მძულვარებას. შენ გიმალავენ, რასაც ლაპარაკობს შენზედ შენივე ერი: „მეფეს არ უყვარს მშობელი დედა, ამისათვის ვერც ჩვენ შევიყვარებსო“.

ასეთი განხეთქილება შვილსა და დედას შორის ტყუილ-უბრალოდ აღელვებს ერსა და ხელს უშლის წარმატების გზაზე სიარულს.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** ხვალინდელს დღეს მართლმადიდებელი ეკკლესია დღესასწაულობს მოციქულთა სწორის საქართველოს განმანათლებელის წმიდის ნინოს დღეობას. დღეს საღამოს სიონის ტაძარში მლოცველი ბრძანდება მისი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პალლადი, ხოლო ხვალ წირვას გარდაიხდის მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე კრებულითურთ.

*** პარასკევს, 11 ამ თვისას, საღამოს შვიდს საათზე, ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში ერთი ახირებული დაჭრილი რუსი მოიყვანეს. ამ რუსს თავის ნაცნობებთან ექეიფნა და შემდეგ რაღაზედაც ჩხუბი მოსვლოდა. ჩხუბის დროს ერთს ამხანაგთაგანს უძგრია ხანჯალი და მისთვის მოუჭრია ნახევარი ცხვირი. დაჭრილი პოლიციამ მაშინვე საავადმყოფოში გაჰგზავნა. როდესაც ყვირილით შეიყვანეს საოპერაციო დარბაზში, ექიმებმა ჰკითხეს დაჭრილს, მოჭრილი ცხვირი ხომ არ დაგიკარგავსო. დაჭრილმა გმინვითა და ყვირილით დაიწყო ჯიბეების ჩხრეკა და რამდენსამე წუთს შემდეგ ხანჯლით მოჭრილი ცხვირი ფულის ქისიდგან ამოიღო და წარუდგინა ექიმებს, რომელთაც სიცილით გამოართვეს მოჭრილი ცხვირი და მიაკერეს თავისს ადგილს.

*** ამავე დღეს, საღამოს შვიდს საათზე, ერისთავის ქუჩაზე მოისმა რამდენჯერმე რევოლვერის ხმა. როცა პოლიცია მივიდა იმ ადგილს, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე თავად-აზნაურნი ყოფილან ვილაცა მოეშვეჩის სახლში, სადაც ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ. მოჩხუბარნი მოეშვეჩის მსახურს კარში გამოუსხამს, ამის გამო სტეფან ბ—ნოვს უძგრია ხანჯალი, დაურტყამს მ—ჩის მსახურის დიმიტრი გასიშვილისთვის და ორს ალაგას გადუჩეხია თავი. შემდეგ მასვე ბ—ნოვს ამოუღია რევოლვერი და რამდენჯერმე უსროლია თ. ჯ—სთვის, მაგრამ არც ერთი ტყვია არც იმასა და არც სხვებს არ მოჰხვედრია. პოლიციამ მათგან მარტო კონსტანტინე გორ—დოვი შეიპყრო, დანარჩენნი-კი გაიქცნენ და დაიმალნენ.

*** ბ-ნ ალ. როინაშვილს განუზრახავს დაბეჭდოს თავისის ხარჯით „ძმური სიტყვა“ ბ-ნ დ. მაჩაბელისა და ძლიერ იაფ-ფასად გაჰყიდოს.

*** ამ წელს სულ შვიდ ნარი ქართული კალენდარი გამოვიდა: გრ. ჩარკვიანის შედგენილი კედლის კალენდარი და საერო კალენდარი მხატვრობით მისივე, ვალ. გუნიას შედგენილი საქართველოს დიდი და პატარა კალენდარი, დეკ. ლამბაშიძის კალენდარი, მდივანოვისა და ახპატელოვისა, სულ რიცხვით შვიდი.

*** ჩვენ მოგვივიდა განჯის რკინის-გზის სადგურიდამ ბ-ნ ი. ს. ნოდიასაგან იქ შეგროვილი ფული 47 მან. 20 კაპ. განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა იყო დღემდე 1368 მ. 72 კაპ. ამიანათ შესდგა სულ 1415 მ. 92 კ.

*** ამ დღეებში ბ-ნმა ლ. ფურცელაძემ დაბეჭდა „ანდერძის წიგნი“ მღვდელ-მთავრის ანტონისა. ეს ანდერძის წიგნი ფრიად შესანიშნავია იმ მხრით, რომ შიგ ჩამოთვლილია სხვა-და-სხვა საყურადღებო ნივთები და წიგნები. ამ წიგნთა შორის იხსენიება აგრეთვე ერთი ცალი „ახედრული ლოღიკა“ და ერთი ცალი „ბავშვების სასწავლებელი ანბანი“. აქედგან სჩანს, რომ ძველად ჩვენ წინაპრებს სახელმძღვანელოებიც ჰქონიათ ყმათა სასწავლებლად და ჩვენში სწავლების საქმე მარტო „ბექზედ“ არ ყოფილა დამოკიდებული. სამწუხაროდ ჩვენდა, პატივცემულს გამომცემელს მოსვლია ერთი დიდი შეცდომა: ეს ანდერძის წიგნი ანტონ II-ის კათალიკოზისა ჰგონებია და მისი სახელით დაუბეჭდია, მაშინ როდესაც ამ კათალიკოზ ანტონისა-კი არა, ხონის უკანასკნელ მღვდელმთავრისა უნდა იყოს ეს ძვირფასი ანდერძის წიგნი. როგორც სჩანს თვით ანდერძის წიგნიდამ, იგი შედგენილია 1793 წელს და მაშინ ანტონი კათალიკოსი ახლად ნაკურთხი იყო პატრიარქად. გარდა ამისა ანტონ კათალიკოსი გარდაიცვალა 1827 წელს 21 დეკემბერს დილის 10 საათზე, ხოლო ანდერძის დამტოვებელი ანტონი-კი გარდაცვლილა 1822 წ. ივლისის 17-ს, მზის ჩასვ-

---

ტყუილად გვგონია, ვითომ ოთხივე დრო წელიწადისა თანაბარიაო. ნამდვილად-კი ევროპასა, აზიასა, ჩრდილოეთს აფრიკასა და ამერიკას გაზაფხული 92,$^{2}$ დღეს გასტანს ხოლმე, ზაფხული—93,$^{6}$, შემოდგომა—39,$^{7}$ და ზამთარი—89 დღეს. წელიწადი იმ ხანსა ჰქვიან, რა ხანსაც ჩვენი დედამიწა მზის გარშემო ტრიალს უნდება. წელიწადი დღეობით არ გამოითვლება, რადგან იგი 365 დღე-ღამესა 5 საათსა 48 წუთსა და 50 წამს (365.$^{2422}$ დღეს) უდრის. ამ წვრილფეხობის ასაცილებლად (წვრილ-ფეხობა ან სად არის არ დაჩაგრული!) წელიწადს მხოლოდ დღეებით ანგარიშობენ, თუმცა ეს ანგარიში ცოტა მოიკოჰლებს და მოიბორძიკებს: წელიწადი რომ 365 დღედ ჩავთვალოთ, 100 წლის შემდეგ 25 დღე შეცდომა მოგვივა და 500 წლის შემდეგ ხომ ისე დაგვებნევა ანგარიში, რომ გაზაფხული ოქტომბრის თვეში დაგვიდგება და იანვარი და თებერვალი—ზაფხულში.

45 წ. ქრისტეს დაბადების წინად იულიუს ცეზარმა, ვარსკვლავთ-მრიცხველის სოზიგენის რჩევით, ასე აიცილა თავიდგან ეს უხერხულობა: წელიწადი $365\frac{1}{4}$ დღედ მიიჩნია და გადასწყვიტა, რომ ყოველი სამი წელიწადი 365 დღედ ჩაითვალოს, მეოთხე-კი, ნაკიანი—366. იმიტომ ქრისტე ნაკიანს წელიწადს დაიბადა, იულიუს ცეზარის ანგარიშით, წელიწადი უდრის 365 დღეს და 6 საათს, ესე იგი ნამდვილს 11 წუთითა და 50 წამითა სჭარბობს. 325 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ ნიკეის მსოფლიო კრებაზედ ეს ანგარიში დაამტკიცა ეკკლესიამ. 325 წელიწადში შეცდომა 3 დღედ გადაიქცა და კრებამ ეს შეცდომა გაასწორა, უკან დაბრუნდა, თუმცა მიზეზი შეცდომისა-კი ვერ აიცილა თავიდგან. კიდეც ამიტომ ამ ქამად ჩვენი კალენდარი დასავლეთის კალენდრისაგან 12 დღით განსხვავდება, ისინი თორმეტის დღით წინ გაგვირბიან ქამთა ვითარების უფსკრულისკენ და, რაღა თქმა უნდა, ჩვენზედ აღრეც ჩაიჩეხავენ კისერს.

1582 წ., როცა შეცდომამ 10 დღემდე მიაღწია, რომის პაპა გრიგოლ III-მ კათოლიკეს უბრძანა, რომ ეს ათი დღე გამოსტოვეთ და 4 ოქტომბრის შემდეგ, 5-კი ნუ, 15 იანგარიშეთო. უწინდელი შეცდომა იმითი აიცილეს, რომ დააწესეს, ნაკიანად ყველა წელთა რიცხვი-კი ნუ ჩასთვლით, რომელიც ორის ნოლით ბოლოვდება, არამედ ის ჩასთვალეთ, რომელიც ამ ორ ნოლით მიუხედავად ოთხზედ თანაბრად განიყოფებაო. ჩვენის წელთა აღრიცხვით 1500 და 1700 წლები ნაკიანი იყო, რადგან 4 განიყოფებოდა, მაგრამ თუ ორი ნოლი მოაშორეთ და ისე გაჰყავით, 15 და 17 თანაბრად არ განაწილდება 4-ზედ. ამ გვარად გრიგორის მიერ შემოღებული წესი ყოველ 400 წელიწადში ერთს დღე-ღამეს შეცდომას იცილებს თავიდგან. მისის ანგარიშით, წელიწადი უდრის 365,$^{2425}$ დღე-ღამეს, ესე იგი 0,0003 დღე-ღამით სჭარბობს ნამდვილს. ყოველ 3,300 წელიწადში აქაც იქნება ერთი დღე-ღამე შეცდომა, ხოლო 10,000 წელიწადში-კი—3 დღე-ღამე. ერთის სიტყვით, გრიგორის წელთა აღრიცხვის წესმა და რიგმაც, ესე იგი ახალმა სტილმაც ვერ აუქცია გვერდი შეცდომას, თუმცა ჩვენს ძველს სტილზედ-კი ცოტა მართალია.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ მე-XI საუკ. სპარსეთში შემოუღიათ წელთა აღრიცხვა, ძველს სტილზედაც სწორე და ახალზედაც. იქ ყოველ 33 წელში შვიდჯერ ოთხ-ოთხს წელიწადსა სთვლიან, რომელშიაც, ჩვენებურსავით, სამი წელი მარტივია და მეოთხე ნაკიანი და შემდეგ ამ 28 წელს მოსდევს 5 წელი, რომელშიაც ოთხი მარტივია და ერთი ნაკიანი, ასე რომ 33 წელიწადში 25 წელიწადი მარტივია, 5—ნაკიანი. ამ ანგარიშით, ორთა შუა რიცხვით წელიწადი უდრის 365,2424 დღე-ღამეს, ესე იგი ნამდვილს 0,0002 დღე-ღამითა სჭარბობს. სპარსელების აღრიცხვა იმდენად სწორეა, რომ იმათ მხოლოდ 5,000 წელიწადში ერთი დღე-ღამე მოუვიდათ შეცდომა, ახალის სტილით ყოველ 3,300 წ. მოდის ასეთი შეცდომა და ძველით-კი თითქმის 100 წ. როგორც ჰხედავთ, ამ მხრით სპარსელებს დიდი ხანია, არამც თუ ჩვენთვის, ევროპისათვისაც უჯობნებიათ!..

ხომ გაიგეთ, მკითხველო! ნუ თუ ეხლაც მეკიჟინება ახალ-წლის დაგვიანებით მილოცვა, როცა ასეთის ხერხით ვიმართლე შენთან თავი, თუმცა-კი ისე მოგწყინდა მგონი ამ აბნეულ-დაბნეულ ანგარიშის კითხვა, რომ გულში ამბობდი, არც შენი მილოცვა მინდოდა და არც მაგ ებრაულ სახარების კითხვაო. მართლაც და თუ ევროპაში თორმეტის დღით ადრე უქმობენ ყოველსავე დღესასწაულს, მე რატომ არ შემიძლიან თორმეტის დღით გვიან მოგილოცოთ? თუ ევროპა თორმეტის დღით ყველაფერში წინ გარბის, აზიას თორმეტის დღითვე ჩამორჩენა დიდ დანაშაულად ჩაეთვლება?.. მაინც ხომ ისეა, რომ ევროპის წალმა ჩვენებური უკუღმაა და იქაური გამარჯობა—ჩვენებური ღვთის რისხვა, და ესეც ასე იყოს.

მე-კი ჩემი ვთქვი და ახლა შენ იცი—გნებავს ევროპის წესი ირჩიე, გნებავს—ძველი სტილი და გნებავს—ჩემ მიერ საკუთრად ასეთის მოხერხებით გამომცხვარი სოფისტიკის თორნეში. ჩვენი საუკუნე არჩევანის საუკუნეა და კენჭიც ხელში გიპირავს, რომელიც არ გეჭაშნიკოს—გააშავე და რომელიც მოგწონდეს—გაათეთრე. ამ არჩევანის ციებ-ცხელებამ ეხლა მაინც ისე გაიტაცა, ევროპისა რომ არა ვთქვათ-რა, ჩვენი ჭირ-ნახადი საქართველოც, რომ თითქმის ყოველს ქალაქსა, დაბასა და სოფელში თითრს რაზედ შემჯდარა ეს უცხოეთიდგან მოსული გმირი და წალმა-უკუღმა დააჭენებს თავ-მომწონედ. ირჩევენ ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, თუმცა დაწუნ-მოწონებას უფრო ხშირად პირადობას ფარ-ხმალი უჭირავს და იმითი იკვლევს უკუღმართს ცხოვრებაში არა საწალმართო გზას.

როგორც ყოველს ევროპიდგან ამ ბოლოს ხანებში გადმოსულ ჩვეულებისა, ისე არჩევანისაც ლებანი იქავე დარჩენილა და ჩვენში-კი მარტო ჩენჩო გადმოსულა. ამ საკეთილო წესს საქვეყნო საქმის გადაწყვეტისას, მოთავისა და მოწალმართე კაცის თავისუფლად, თანასწორად და ერთობრივ ამორჩევისას ჩვენში მოსჭრია მუხლი და გასწყრომია კოპალა და იახსარი. არ ვიცით, ამ განათლების მიერ შემუშავებულს წესს ცხოვრებისას ევროპიდგან ჩვენ ქვეყნამდე მოსვლისას გზაზედ ემართება ეს უბედურება, თუ ჩვენს ქვეყანაში ჰავაა ისეთი, რომ, როგორც შავის ზღვის სანაპირო ადგილებში ყაზახები ვერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ქამს, ეს უკანასკნელი არტონი მღვდელ-მთავრობდა ხონს, ვაკელის სახელ-წოდებით ვიდრე 1819 წლამდე. ამაზედ ცნობები მოყვანილია აგრეთვე 1826 წ. უწმინდეს სინოდის განკარგულებით დაბეჭდილ წიგნში: „Исторія Іерархіи Грузинской церкви". მიუხედავად ამ გვარ შეცდომისა ხსენებული „ანდერძის წიგნი" ძვირფასი მასალაა საქართველოს ლიტერატურისა და სიტყვიერების შესასწავლელად და სასურველია, რომ გავრცელდეს ჩვენში.

*** ფოთი: ათს იანვარს აქ მოხდა არჩევნები პირველის რიგის ამომრჩეველთა ახალის ხმოსნების ამოსარჩევად. ამოირჩიეს თხუთმეტი ხმოსანი. ამათში მხოლოდ ხუთია ქართველი. წინანდელ საბჭოში-კი ათი იყო. დანარჩენთა შორის: ოთხი სომეხია, სამი რუსი, ერთი ბერძენი, ერთი პოლშელი და ერთიც ური. ახლა დაგვრჩა მეორე რიგის არჩევნები, რომელიც დანიშნულია თხუთმეტს ამ თვეს. ვისურვებთ, რომ ამ არჩევანებზე უფრო მხნედ მოეკიდოთ ხელი საქმისთვის და ისეთი კაცები ამოირჩიოთ, რომლებიც ღირსნი იყვნენ და რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ქალაქისათვის.

*** რიონი: რიონის სადგურზედ ვილაც რკინის გზის სამსახურის ერთგულმა „კანტრალიორმა" ა—მ ფიცხელი განკარგულება მოახდინა: ხალხთა მატარებელის ვაგონების კარები დააკეტინა, ალარავინ გამოუშვა გარედ, რადგანაც ეგონა, რომ შიგ ბევრი უბილეთო ხალხია. ამ დროს ვაგონში იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ბძანდებოდა და სამსახურის ერთგულმა გმირმა არც ამას მისცა ნება გარედ გამოსვლისა წყლის დასალევად. ამის გამო სამსახურის გადაჭარბებით ერთგული გმირი მეორე დღესვე მთავრობის მიერ გადაყვანილ იქმნა სხვა ადგილას (გაზ. „Новое Обоз.").

*** ონი: ამ დღეებში ს. ჯვარისაში მოკლულ იქმნა ციმბირიდგან გამოქცეული კაცი ხეფე წერეთელი, რომელიც ოცის წლის ვადით იყო კატორღაში გაგზავნილი. იგი 1885 წ. გამოიქცა ციმბირიდგან და მოვიდა თავისს სამშობლოში. პოლიცია გაცხარებული დაეძებდა ს. წერეთელსა და კიდევაც შეიპყრო იმ დროს, როდესაც თავის მამის სახლში იყო სტუმრად მისული. მაზრის უფროსმა გაჰგზავნა ბოქაული ქეითაშვილი თავის თანაშემწე ავალიშვილითურთ ს. ჯვარისაში. წერეთელმა, დაინახა რა პოლიციის მოხელენი, დაუწყო თოფის სროლა. პოლიციის მოხელეებმა და იმათმა მხლებელმა ყაზახებმაც თავის მხრით დაუწყეს თოფების სროლა და კიდევაც მოჰკლეს ს. წერეთელი. (გაზ. „Тиф. Лист.").

*** 11 იანვარს არტილერიის ბაღკაში სვიმონ კვიკვიძის დუქანში პოლიციელმა შეიპყრო ალექსი საპოვი და მიხეილ ქართველოვი, რომელთაც ზეგლიარ საპოვს 55 მანეთად ღირებული ვერცხლის საათი და ქამარი მოჰპარეს. შეპყრობილთ თავიანთი დანაშაული აღიარეს და დანაკარგიც იპოვნეს.

*** ამავე დღეს პოლიციის პირველს ნაწილში ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა კაპიტანის ცოლი ავდოთია ლისენკოსი და სამსახურს გარეშე მყოფის მწერალის მეუღლე ეფიმია კალიკოვისა. ძაღლი პოლიციელმა მოჰკლა და შინაფოგელთან გაგზავნა იმის შესატყობად, ცოფიანია თუ არარა.

*** ამ თვეის 10 არტილერიის ბაღკაში სამსახურ გარეშე მყოფის მწერალის ავაკუმ კოლედინას სადგურიდგან სახატიმროდგან ახლად განთავისუფლებულმა სერგეი ივანოვმა მოიპარა 8 მანეთის ნივთეულობა, მაგრამ მალე მიასწრო პოლიციელმა და შეიპყრო.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ახალს წელიწადს ტფილისში ახალი არა მოჰხდარა-რა, იმას გარდა, რომ გაახლდა და გაცხოველდა საზოგადოებაში ლაპარაკი იმის გამო, თუ ვის გაუღიმებს ბედი და ვის არგუნებს წილად ქალაქის საბჭოში გათავებას. ზოგიერთს ალაგას უბრალო ლაპარაკი ამის შესახებ ნამდვილ სჯად და თათბირად გადაქცეოდა და იქ იყო კარგი საყურებელი იმათთვის, ვისაც სიცილის მადა აქვს. მოსაუბრენი დიდის გაბედვით და თავ განწირვით უმტკიცებდნენ ერთი მეორეს იმას, რომ ქალაქის თავისათვის გარდა თავისა ბევრი რამ არის საჭირო.

ერთი ამბობდა: არა კმარა, რომ ქალაქის თავს მარტო თავი ჰქონდეს და ფეხები-კი არ უვარგოდესო. ქალაქის თავისათვის საჭიროა მარდი ფეხებიც, რომ საბჭოში ყოველთვის თავ-თავის დროს იაროს და საჭირო დროს არა თავ-თავის დროს მოჰკურცხლოს იქიდამაო.

— მეორე გაიძახოდა: ბატონებო, გავიწყდებათ, რომ ქალაქის თავს თავსა და ფეხებს გარდა გულიც უნდა ჰქონდეს და ძლიერ გულ-შემატკივარი გული, რომ არაშეც და არამც არ შეეძლოს ქალაქის საქმეთა მსვლელობა-მიმდინარეობას გულგრილად უცქიროსო.

— მართალია, მართალია, უმატებდა მესამე, უგულოდ ქალაქის თავობა-კი არა, უბრალო კაცობაც შეუძლებელია, ხომ იცით და მოგეხსენებათ, რუსთაველი ამბობს, რომ „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდარი"!

— ცოტა რამ მეც მათქმევინეთ, უეცრად მეოთხე, ეგ ყოველივე კარგი, რომ ქალაქის თავისთვის საჭიროა და აუცილებლად საჭირო ფეხებიც და გულიც, მაგრამ რატომ არას ამბობთ იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ქალაქის თავისათვის სული და როგორი სულია საჭირო! ჩემის აზრით ქალაქის თავს მეტის მეტად სულ გრძელი სული უნდა ჰქონდეს, რომ დინჯად და წყნარად, აღუშფოთებლად და აუჩქარებლად მოისმინოს საბჭოს ხმოსანთა და წევრთა აზრი და წინადადება ქალაქის მართვა-გამგეობის და ავ-კარგის შესახებ. ამასთან არც ის უნდა იქმნას დავიწყებული, რომ ქალაქის თავი იმდენად სულ-გრძელი უნდა იყოს რამდენადაც ქალაქის სიკეთეს შეეფერება და არა...

— ვიცით, ვიცით, რის თქმაც გინდა, აწყვეტინებდა მეხუთე, და არა ისეთი სულ-გრძელი, რომ მისმა სულ-გრძელობამ ქალაქის დღეგრძელობა იმსხვერპლოსო...

— ყველა თავისას ამბობს და მე ვისზე რა ნაკლები ვარ, რომ ჩემი არაფერი განდათ მოისმინოთო, ცხარობდა მეექვსე, ნუ გეშინიათ, გრძელი არც მე ამომიკარდება პირიდამ!.. რომ ყველაფერი ჩამოთვალეთ და უპირველესი და უსაჭიროესი საქმე-კი დაივიწყეთ, ეს რა საკვირველია! რატომ არ ჰფიქრობთ, რომ ქალაქის თავს შიგ თავში დიდად გონიერი გონება უნდა ედოს. ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ქალაქის თავობა ძნელი საქმეა და ძნელი საქმე მხოლოდ გონიერ კაცს შეუძლიან გამოაგოსო, ამბობს რუსთაველი. აბა, მაშ რა გგონიათ, მარტო თქვენ გიკითხავს „ვეფხვის-ტყაოსანი" და მე-კი არა! ამას გარდა შემიძლია დავუმატო, რომ ქალაქის თავს უნდა ჰქონდეს მახვილი ყურები, რომ ავი ავად გაიგონოს, კარგი კარგად; უნდა ჰქონდეს შორს-მხედველი თვალები, რომ შავი და თეთრი შორიდამვე გაარჩიოს.

— ბატონებო, ვხედავ რომ მართებულებამ და ზრდილობამ დამლუპა. ყველას დაგაცადეთ ლაპარაკი და მე-კი ალარაფერი დამრჩა სათქმელი, ღაღადებდა მეშვიდე, ვიცი რომ თუ ეხლავე არ მოგახსენეთ, რაც უნდა მოგახსენოთ, ვიდრე სხვა დამასწრებს და მე ცარიელი დავრჩები; ამიტომ მომისმინეთ: ყოველივე რაც ბრძანეთ და რაც ჩამოთვალეთ, მეც ვაღიარებ, რომ ქალაქის თავს უსათუოდ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ერთი რამ შეგცდათ და დაგავიწყდათ და მსურს ამ შეცდომიდამ გამოგიყვანოთ და გაგახსენოთ, რაც დაგავიწყდათ!.. არას ვიტყვი მარცხენა ხელის შესახებ და მარჯვენა ხელი რომ საჭიროა ქალაქის თავისთვის, ამაში, ვგონებ, თქვენც დამეთანხმებით. ათას გვარ ქაღალდზე უნდა მოაწეროს ხელი და ათი-ათასჯერ უნდა დაარაწკუნოს ზარი სიჩუმის ჩამოსაგდებად, როცა ხმოსნები უთავ-ბოლოდ და დაუსრულებლად ერთმანეთს შეეკამათებიან. და ესეც ხომ ყველა თქვენგანს მოეხსენება, რომ როგორც წერა ისე ზარის დარაწკუნება მარჯვენა ხელს უფრო ეხერხება, ვინემ მარცხენას. ყველა ამის გამო გაბედვით ვამტკიცებ, რომ ქალაქის თავისათვის მარჯვენა ხელიცაა საჭირო.

ეს უკანასკნელი დღეები საზოგადოების ზოგიერთმა ნაწილმა სწორედ რომ ასეთს სჯასა და საუბარს მოანდომა. თუმცა ზემოთ მოყვანილი მსჯელობის ნიმუში სასაცილოა, მაგრამ იმავე დროს სანუგეშოცაა. ეს იმას ამტკიცებს, რომ საზოგადოებამ გამოიღვიძა, თვალები გაახილა და ასე თუ ისე აზროვნობს და სჯის.

დღეს ყოველსავე ამას ბოლო მოეღება. საბჭოს ხმოსნები მიიღებენ ფიცს და შეუდგებიან ქალაქის თავის აღრჩევას. იმედია ხმოსნები არ უღალატებენ საზოგადოების ნდობას და ისეთს კაცს აირჩევენ ქალაქის თავად, რომელშიაც უფრო მეტს შეამჩნევენ კაცურს ღირსებას და ადამიანურს კუთვნილებას.

ყოველს შემთხვევაში დღეს, საღამოს დავინახავთ და გავიგებთ, თუ ვინ გამოვა ქალაქის საბჭოდამ გათავებული!..

**

ტფილისიდამ მიავლ-მოვავლოთ თვალი ზოგიერთს პროვინციებს და იმათი ცხოვრების შესახებაც ამოვიღოთ ხმა. ავიღოთ მაგალითად გურია. გურიიდამ გვატყობინებენ, რომ იქ თურმე ჩინებული დარი დგას, ისეთი დარი, რომ არა თუ იანვარს, აპრილსაც ვერ დავამდურებით ასეთის დარისათვისაო. მაგრამ გურულების უბედურება ისაა, რომ მეტისმეტად მრავლდებიან მაშინ, როდესაც ცხოვრება გაძვირდა და გაჭირდა. რა უნდა ჰქნან, რით უნდა შეუშალონ ხელი ამ უბედურებას, რა ღონით უნდა ეწინააღმდეგონ ხალხის გამრავლებას, რომ უფრო ხალვათად იცხოვრონ. საუბედუროდ წელს გურიაში არავითარი სენი

---

ჰბოგინებენ, ისეც ის ჩამოსვლისათანავე მიიგრიხება ხოლმე, მოიგრიხება, ფერსა ჰკარგავს და კოხის სალიმფოხდება, მაგრამ ის-კი აშკარაა, რომ არჩევანი ჩვენში თავისს პირვანდელს დედა-აზრს მოკლებულია, დამახინჯებულია, გადუხჭირებული. შორს სიარული რომ არ დაგვჭირდეს, საბუთად ამას წინად გორის კრუჟოკში მომხდარი არჩევანიც ჰკმარა.

ამ ქალაქის კლუბში მოიყარა ოცდა-შვიდმა წევრმა თავი და შეუდგნენ თოთხმეტის კლუბის გამგეს ამორჩევას, ესე იგი თავიანთ-ისავე თავისას'. ერთის სიტყვით მარტირუზა მიდიოდა მარტირუზასავე ყუთთან და თეთრს კენჭს უგდებდა, წევრად ირჩევდა და შემდეგ არჩეულს ტაშს უკრავდა. იქაურს წევრებსაც სწორედ ერთ მოხისელ კაცსავით დაემართათ: ამ მოხისელ კაცთან სახელწლოდ მეკვლე რომ არავინ მივიდა, ჩამოიღო თავისი პატარა სარკე, გოზინაყი დაიჭირა და სარკეში თავისს თავსავე უთხრა: „ღმერთმა დაგაბეროს, ოჩოპენტრევ, ცოლ-შვილი გიცოცხლოს, საქონელი ბევრი მოგცეს, ფრთოსანი ერთი ასად გაგიმრავლოს და ნათესმა ხომ ისე გიმატოს, რომ შესანახი ადგილი ეღარ გეპოვნოსო!" ან, მართალი რომ ვსთქვათ, კაცს თავისი თავი თითონვე მოსწონდეს და სხვის მხარზედ ხელის ქების ნიშნად დაკვრა და ან გულ-მოსული პანღური ფეხებზედ ჰკიდია და ბუზსაც ვერ აუფრენს, მეტადრე თუ ერთ ხელში უჭირავს და ავ-კარგის გამთლელ-გამსწორებელი თითონვეა.

ეს ამბავი თაფლია, ყინვარი შაქარი მეორე ამბავთან შედარებით, რომელიც იმავე ქალაქის კლუბში მომხდარა. ერთი ყველასაგან ათვალწუნებული კაცი მივიდა თურმე ამ კლუბში და წევრობის კენჭი იყარა. რაღა თქმა უნდა, თეთრი ერთი კენჭი ამოუვიდა და ისიც საბნელეთიდგან, სამშვეთიდგან შეცდომით გადმავარდნილი სათეთრეთში. კლუბის გამგეებს ეს არაფრად ესიამოვნათ, მეორე კრება გამართეს და ერთმა გამგეთაგანმა ხმა-მაღლა მიმართა საზოგადოებას: „ვისაც არა ჰსურს კლუბის წევრად ეს კაცი (საქმე საჩრავია და არა სახელი), ფეხზედ წამოდგესო!" ფეხზედ წამოდგომა ვერავინ გაჰბედა და ამის გამო წინა კრებაზედ ერთ-ხმად გაპირშავებული მელია ერთ-ხმადვე ამორჩეულ იქმნა საზოგადო საქმის დარაჯად და მეთვალყურედ.

მახლას, ქვეყანაც კუდის მრწამსი გამეფებულა და დღეისად ის გამხდარა, რომ ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და შექამადი—ძაღლსაო. უშილთალნია კენჭს გორში, ასე იშილთალა ამას წინად ბათუმში, როცა ქალაქის გამგეობის წევრს ირჩევდნენ, და, ვინ იცის, იქნება ასევე იშილთოლოს ფოთში, სადაც დღე-დღეზედ ქალაქის თავი უნდა ამოირჩიონ და რომლის საარჩევანო მოედანზედაც, სხვათა შორის, ჩვენის მკითხველებისათვის არა-უცნობი შავროვიც გამოსულა.

ვის დავაბრალოთ ეს შილთალი, სინიდისს ხომ არ ეღალატება, ყველა თავის სინიდისამებრ იქცევა და ვინ რა ჰქმნას, თუ სინიდისი მრუდედ უზომავს და მრუდედ უჭრის. არა, არავისი ბრალი არ არის, მიზეზი ისევ კენჭია და არჩევანი:

ქვეყნის სიკეთით აღძრულა,
მწერალად მოაქვს მას თავი,
ბოროტს დამხობას უპირებს,
ერთიან მოსპოს, ჰსურს, ავი.

—

მხარს გესლის გუდა გაუდევს,
სიტყვებსა ჰხარჯავს მკვახესა,
თვალს აბრიალებს, მრისხანედ
იჭმუხნის პირს და სახესა.

—

გამოვა ხოლმე მოედნად
მდევი, მდევ-გმირი ძლიერი,
თავისს საბრძოლოს დაეძებს,
როგორც მგელია მშიერი.

—

სიტყვით ცუდსა ჰგმობს, საქმით-კი
არც კარგს დაგიდევს, არც ავსა,
აარჩევს და ვინც არ მოსწონს,
ვისაცა ატარებს გულს ჯავრსა,

—

თუნდ იყოს მჯობი ყველაზედ,
იმას დაჰკრავს და დაარტყავს,
იმას უტარებს დედასა,
იმას აძრობს შეიდ-კეცს ტყავს.

—

სულ არჩევანის ბრალია,
კაცი არის და გუნება...
სინიდისს ეღალატება?
თუ-კი არ დართო მან ნება?

—

ექიმბაშს კარზედ მიადგა
ორი მაშვრალი სნეული,—
ერთს ზურგზედ ქურქი ასხია,
სხვას—ჩოხა ჩამოხეული.

—

მდიდარს მეჭეჭი აწუხებს,
ზედ ცხვირზედ წამოსჯდომია,
გულს უკლავს იმისი ჯავრი,
ბრძოლა სწადიან, ომია.

—

ღარიბი ფეხზედ ძლივსა სდგას
და ძლივს იბრუნებს სულსაო,
თითოს ისეთას ახველებს,
თითქოს თან ატანს გულსაო.

—

იარასაც სჩივის, მუწუკსაც,
ქარისასაცა, ჭვალისას...
წამალი, ექიმო, თორემ
მზეს ეღარ ჰნახავს ხვალისას!

—

აგერ გამოჩნდა ექიმიც,
ჰსურს აარჩიოს სნეული...
მდიდარს ხვდა ბედი,
ღარიბი კარშივე დარჩა ეული.

—

სულ არჩევანის ბრალია,
კაცი არის და გუნება...
სინიდისს ეღალატება?
თუ-კი არ დართო მან ნება?

—

მეფეს ირჩევენ კეთილსა,
ქვეყანა მოჯარებულა,
იმის სიკეთით, სიქველით
სუყველა გალცებულა.

—

მიხქმა-მოთქმაა, სჯა დიდი,
თათბირი მრავლის მრავალი,
იმას ემხრობა მპლოვანიც,
ჭაბუკიც, კაცი და ქალი.

—

მასთან კენჭს იყრის ერთიც სხვა,
ავი, ბოროტი, დუხჭირი.
ამოირჩევენ-კი ვითომ,
ვინა ჰგონია აქ ვირი?

—

ვინ არის ისეთი ბრიყვი,
ვის უნდა თავის დამხობა!?
სიცილად არავის ჰყოფნის
ამ მგლის კრავებში მეფობა...

—

დათვალეს კენჭი და...თქვენს მტერს!..
ნახეთ, რა ჭირი სწვევიათ:
ქვეყნის მამად და მფარველად
იუდა აურჩევიათ.

—

სულ არჩევანის ბრალია,
კაცი არის და გუნება...
სინიდისს ეღალატება?
თუ-კი არ დართო მან ნება?..

დუშიკო

და მთარული არ ყოფილა, რომ ხალხს მუსრი გაავლოს. არც ომიანობის შესახებ არის ლაპარაკი, რომ ზოგიერთებს ბრძოლის ველზე მოეღოს ბოლო. მაშ რაღა საშუალება დარჩენიათ იმას გარდა, რომ დაითვრენ და ერთმანეთი ჩეხონ და ჟლიტონ? კიდევაც ასე იქცევიან და სიმართლე უნდა ვაღვიაროთ, რომ ამაზე უკეთესი ხერხი ხალხის გამრავლების წინააღმდეგ აღარ შეიძლება. ვისაც მოჰკლავენ ხომ მოჰკლავენ. ამით, რასაკვირველია, აკლდება ხალხს. მკვლელებსაც ხომ ასეთი კეთილი საქმისათვის იმით გადაუხდიან მადლობას, რომ ისეთს ქვეყანაში გაგზავნიან, სადაც ქვეყანაა და ხალხი არ ცხოვრებს. ეს გარემოებაც, რაღა თქმა უნდა, ხალხის რიცხვს შეამცირებს. ამ ნაირად გურულები ადრე მიაღწევენ სასურველს საგანს და საქმეს იქნამდი მიიყვანენ, რომ ახლო მომავალში გურიაში მხოლოდ ორი კაცი დარჩება, ისინიც ერთი მეორეს მოჰკლავს. მოკლულს სამარეში ჩაუმახებენ და მკვლელს ციმბირისკენ გაუმახებენ.

რაკი ასეთს გზას დასდგომია გურიის ცხოვრება, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კოხის მიერ აღმოჩენილი წამალი სიჭლექის წინააღმდეგ იქ არაფრათ ეჭაშნიკებოდათ. ვინ იცის, აგებ გურიიდამ კოხს ასეთის სისულელისათვის უმადურობის ადრესიც მიუვიდა. სრულიად საკვირველი არ იქნება, რომ ეს ასე მომხდარიყოს და თუ ჯერ არ მომხდარა აწი მოხდეს.

**

გურულების შესახებ რაცა ვსთქვით, ის ვიკმაროთ. შემდეგშიაც მოგვივა ამ უცნაური ხალხის გამო ლაპარაკი. ეხლა ორიოდე სიტყვით მოვიხსენოთ ჩვენი კორრესპონდენტები და მათაც მივაგოთ „საქმეთა მათთაებრ“.

აუარებელი წერილები მოდის რედაქციაში სხვა-და-სხვა დაბა-სოფლებიდამ. სოფლის მეთვალ-ყურენი ცდილობენ ანგარიში მისცენ ქვეყანას იმისა, თუ რა გააკეთა მათთვის მველმა წელიწადმა და რას გამოელიან ახლისაგან, მაგრამ ამ წერილთა უმეტესი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს; რადგანაც მხოლოდ იმას გვატყობინებენ, რომ ჩვენშიაც მველი წელიწადი სწორედ 31 დეკემბერს გამოეთხოვა საქაოს და ახალი წელიწადი-კი 1 იანვარს გვესტუმრაო. მველი წელიწადი დავსწყევლეთ, შევაჩვენეთ და ისე მივაბარეთ მიწას, რადგანაც ძლიერ ნავსი იყო და არაფერი ხეირი არ გვაჩვენა თავის სიცოცხლეში. პირ-იქით შინაური წვრილ-ფეხსა ქურდები ისე გაგვითამამა, რომ ქათმებიც და ინდაურებიც არ შეგვარჩინეს, სულ დაგვპარესო. იმედი გვაქვს ახალი წლის განმავლობაში ასეთს უბედურებას თავიდამ ავაშორებთ, რადგანაც ადგილობრივი მოხელენი ამ ბოლო დროს სინდისიერად ასრულებენ თავიანთ საქმეს და ამის გამო ქათმების ქურდობაც შესამჩნევად შემცირდაო.

ზოგი ამასაც არ კმარობს და შემოგვჩივის, რომ მართალია მველ წელიწადს მოეღო ბოლო, მაგრამ არ ვიცით, როდის მოეღება ბოლო ჩვენი მამასახლისის უსამართლობას. ისა და მისი მწერალი ცხენებით დასეირნობენ სოფელში და დღეს ერთს გლეხს ჩაუდგებიან ოჯახში, ხვალ მეორეს. რაც რამ სადღესასწაულოდ მომზადებული სანოვაგე გვქონდა ამათ შეგვიჭამეს და თივა და ჩალა კიდევ იმათმა ცხენებმა გაგვინადგურესო.

**

კორრესპონდენტებიდამ დავუბრუნდეთ ისევ ტფილისს და გამოვუსძებნოთ იმის ცხოვრებიდამ რაიმე ახალი ამბავი. ჰო, მართლა ეხლა გამახსენდა. ამ ჟამად ქართული დრამატიული დასი ამზადებს ახალს პიესას „ბაბილონის გოდლის შენება“, რომელსაც ამ დღეებში წარმოადგენენ. სიმართლე ითხოვს ვსთქვათ, რომ ამ პიესას მართლა „ბაბილონის გოდლის შენება“-კი არ ჰქვიან, მაგრამ ისე ამზადებენ და ისე უნდათ წარმოადგინონ, რომ სწორედ რომ გოდლის შენებისა და ენის შერევნის ამბავი გამოვა. საქმე იმაშია, რომ უნდა წარმოადგინონ „ჰამლეტი“ და პიესის უმთავრესი გმირის ჰამლეტის როლი რუსის არტისტმა რუსულად უნდა ითამაშოს და დანარჩენი როლები-კი ქართველმა არტისტებმა ქართულად უნდა აასრულონ.

ვნახოთ რა გამოვა რისგან და როგორი იქნება ასე შეხანხლულ-შეკოწიწებული წარმოდგენა!

დათიკო ვერმიცანაშვილი

## წვრილი ამბები

ფრიად სასაცილო ამბავი მოხდა ამას წინად უელსის პრინცის სასახლეში. პრინცს წვეულება ჰქონდა გამართული და სტუმართა შორის ერთი ახალგაზდა კაციც ერია, რომელიც პირველად იყო მოსული სასახლეში. ამ ახალს სტუმარს ძლიერ ალერსიანად ექცეოდნენ, მეტადრე თითონ პრინცი ცდილობდა ესიამოვნებინა როგორმე. უმაწვილმა კაცმა ამის გამო ცოტა არ იყოს ყოყლოჩობა დაიწყო და კიდეც დაიკვეხა სტუმრებთან, პრინცზე გავლენა მაქვსო. როდესაც სადილს შემდეგ სტუმრები ბილიარდის სათამაშო ოთახში გავიდნენ, ახალგაზდა სტუმარი მიუბრუნდა პრინცსა და უთხრა: „პრინცო, თუ შეიძლებოდეს ზარი დაარაწკუნეთ და ჩემთვის ერთი ჭიქა პუნში მოატანინეთ!“ სტუმრები შეკრთნენ და გაცვიფრდნენ უმაწვილის კაცის ამ გვარის უზრდელის ქცევის გამო, მაგრამ პრინცს მხოლოდ ღიმილი მოუვიდა და ზარაც ჩამორეკა. როცა მოსამსახურე შემოვიდა ოთახში, პრინცმა პუნშის მოტანის მაგიერ შემდეგი უთხრა: „უბრძანეთ ეტლი მოუმზადონ, ეს უმაწვილი შინ აპირობს წაბრძანებასაო“.

— ლონდონში არხეოლოგიური კონცერტი გამართეს ამ დღეებში. რომლისაღაც ქალაქის ნანგრევთა თხრის დროს ეგვიპტეში ფლინდერს პეტრიუმ ქალის საფლავში ერთი ორ-ლულიანი ხის სალამური იპოვნა. ვიღაცა მემუსიკემ ამ დღეებში კონცერტი გამართა და რამდენიმე პიესა დაუკრა ამ სალამურზე, რომელიც უკანასკნელი 3000 წელიწადია რაც გაკეთებულა. კონცერტს მრავალი დიდკაცობა დაესწრო ლონდონისა. ეს მველი სალამური უფრო იმ საკრავსა ჰგავს, რომელსაც იტალიელები „Zamponga“-ს ეძახიან.

— ფრანგებმა განიზრახეს, ძეგლი დაუდგან ჟან ნიკოს, რომელმაც პირველად შემოიღო თამბაქო საფრანგეთში. 1560 წელს ნიკო საფრანგეთის ელჩად იყო გაგზავნილი პორტუგალიაში და სწორედ მაშინ გამოუგზავნა იქიდგან თამბაქოს თესლი დედოფალს ეკატერინა მედიჩის. ამას შემდეგ 60 წელიწადი გავიდა და კარდინალმა რიშელიემ გარდასახადიც დააწერა თამბაქოზე (1621 წ.) მას უკან დღემდე ამ გარდასახადიდგან საფრანგეთს 9 მილიარდი შემოუვიდა.

— ქალაქ რომის მერის ცოლს, რომელიც ჭლექით იყო ავად, კოხის წამალი შეუშხაპუნეს კანს ქვეშ და ორს საათს შემდეგ გარდაიცვალა. ეს ამბავი პროფესორს რობერტ კოხს მაშინვე აუწყეს დეპეშით.

— აი რამდენიმე ხანია, რაც პარიჟსა და ლონდონში დაიწყეს ოსპის ფქვილის პურის ცხობა. ამ პურში ცოტაოდენს ნუშის ზეთსაც ურევენ. ნუშის ზეთის არევა ცომში დიდი ხანია აზიელებმა შემოიღეს და ძლიერ კარგს გემოსაც აძლევს პურსა. ოსპიც კიდევ ყველამ იცის, რომ მშვენიერი და ნოყიერი სამარხო საჭმელია, ისე რომ გასაკვირველი არ არის, ევროპელებმა ოსპის პური მოიწონოს. შეიძლება შემდეგში მუშა ხალხს ევროპისას დიდი შეღავათი მისცეს ამ პურმა.

## დეპეშა

12 იანვარი

ხარკოვი. დაწვრილებითი ამბავი პოლკოვნიკ რიკოვსკის მაღაროში მომხდარის უბედურობისა: მეორე წყება მუშებისა, რიცხვით 119 კაცი, შევიდა სამ მღვიმეში, რომელიც კანონისამებრ შესვლის წინად დაათვალიერეს უფროსმა და მოიჯარადრემ. ღამის $9^1/_2$ საათზე აფეთქდა გაზი მღვიმეში № 10 და ამის გამო სხვა ღვიმეებიც აფეთქდნენ. № 13 მღვიმიდგან შტვენა მოისმა ნიშნად მომხდარის უბედურებისა. ყველანი გადაირივნენ. გამგემ და ერთმა მუშამ მოინდომეს ჩასვლა მღვიმეში № 10, მაგრამ ჩასვლისათანავე გული შეუწუხდათ და ძლივს ამოათრიეს. რიკოვსკი გაქანდა № 13 მღვიმეში შესასვლელად. ამ დროს მეორე მუშებისა შეცვივდა მღვიმეში და ყველა გულ-შეწუხებული კან-შეხრუკული და მკვდარი მუშა გამოათრიეს. 28 კაცი გამოიტანეს მკვდარი. 4 მკურნალმა 71 კაცი მოასულიერა, რომლებიც იმედია, მორჩებიან. 48 კაცი მოკვდა და მათ შორის შტეიგერი კოზუბკო და მოიჯარადრე მოტტო. ამ უბედურების მიზეზი მოკიდებული პაპიროზი იყო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 იანვარი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 85 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $137^1/_2$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 07 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 234 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — „ | — „ | $211^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | $102^1/_4$ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | $102^1/_4$ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | $96^1/_2$ | — „ | 97 |

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

# პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.


Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1891 ГОДЪ
СЪ РАЗРѢШЕНІЯ ГОСПОДИНА МИНИСТРА ВНУТРЕННИХЪ ДѢЛЪ

Будетъ издаваться съ 1-го Января 1891 года, въ С.-Петербургѣ, большая политическая, экономическая, научная и литературная газета

„ПРАВДА.“

Подписчики „правды“ за 6 руб. получатъ въ теченіи года:

52 номера газеты, еженедѣльно каждый № въ 2—3 печатныхъ листа самаго большого формата съ разнообразными тщательно разработанными статьями: серьезными—научными и легкими—беллетристическими, именно со статьями—политическими. экономическими, изъ общественной жизни, научными по всѣмъ областямъ знанія, искусства и литературы, съ фельетонами, разсказами и проч., и проч. и

24 БЕЗПЛАТНАЯ ПРИЛОЖЕНІЯ—КНИГИ, изъ коихъ въ каждой будетъ помѣщенъ законченный новый выдающійся романъ извѣстнѣйшаго писателя. Каждое приложеніе будетъ выходить въ двухнедѣльный срокъ, такъ что въ годъ выйдетъ двадцать четыре тома отдѣльныхъ избранныхъ романовъ, стоящихъ въ продажѣ не менѣе 24 рублей.

Съ первымъ же номеромъ газеты выйдетъ и первое приложеніе—книга.

ПРАВДА съ переходомъ къ новому издателю-редактору совершенно преобразована, увеличена до самаго большаго формата и по разнообразному содержанію и дорогимъ приложеніямъ—книгамъ—незаменима.

ПРАВДА по своему характеру и направленію будетъ истино русскимъ органомъ. Ея цѣль и задача—неуклонно служить національнымъ интересамъ всего государства.

ПРАВДА въ области политической—будетъ преслѣдовать осуществленіе исконныхъ національныхъ задачъ Россіи и Славянъ; въ области экономической—будетъ служить полному подъему и развитію производительныхъ силъ русскаго народа, упроченію всѣхъ коренныхъ отраслей производства и разумному огражденію ихъ отъ пагубной иностранной конкуреціи съ недопущеніемъ однако никакихъ монополій, безусловно вредныхъ интересамъ всего народа-потребителя; въ области общественной жизни—будетъ способствовать общему культурному и разумно прогрессивному движенію.

ПРАВДА во всѣхъ случаяхъ и при всѣхъ обстоятельствахъ останется вѣрной своему названію и всегда будетъ служить отголоскомъ лишь искреннихъ убѣжденій и нелицемѣрныхъ желаній.

ПРАВДА будетъ давать читателямъ возможность своевременно и подробно слѣдить за всѣмъ совершающимся на земномъ шарѣ, замѣнитъ дорогія газеты и журналы и будетъ газетою для всѣхъ и обо всемъ.

ПРАВДА по обилію тщательно разработаннаго и разнообразнаго матеріала для чтенія и по своимъ дорогимъ безплатнымъ приложеніямъ представляетъ изданіе самое солидное, интересное, полезное и необходимое, какъ вполнѣ развитому и серьезному, такъ и любознательному читателю и особенно семьѣ, а по своей дешевой цѣнѣ вполнѣ и всѣмъ доступное.

ПРАВДА будетъ издаваться по самой широкой, разнообразной программѣ и заключать: 1. Высочайшіе Манифесты, указы и другіе акты. Правительственныя распоряженія и узаконенія. II. Статьи по вопросамъ внѣшней политики. III. Статьи по текущимъ вопросамъ русской политики. IV. Систематическія обозрѣнія событій въ Россіи и заграницею, въ особенности въ славянскихъ земляхъ. V. Статьи по вопросамъ экономическимъ и финансовымъ. VI. Статьи по всѣмъ областямъ знанія и философско-богословскія. VII. Изящная словеность—повѣсти, романы, стихотворенія, мемуары и проч VIII. Критика и библіографія русскихъ и иностранныхъ произведеній. IX. Статьи о текущей русской и иностранной журналистикѣ. X. Корреспонденціи изъ провинціи и заграницы. XI. Судебная лѣтопись. XII. Фельетоны изъ русской и иностранной жизни. XIII. Разные факты, сообщенія, происшествія, слухи и проч., преимущественно свидѣтельствующіе о ростѣ и и развитіи государственныхъ, земскихъ и общественыхъ силъ Россіи и Славянъ. XIV. Статьи по искуству—театру, живописи, скульпурѣ и проч. XV. Спортъ. XVI. Объявленія и рекламы.

ВЪ ПРАВДѢ примутъ участіе многіе извѣстные писатели, ученые и общественные дѣятели русскіе и иностранные, въ особенности славянскіе.

подписная цѣна на газету „ПРАВДА“ съ двадцатью безплатными приложеніямы—книгами:

| | Въ Россіи. Въ С.-Петербургѣ и во всѣ мѣста Имперіи. | Заграницу. Въ Славянскія земли. | Во всѣ другія мѣста. |
|---|---|---|---|
| На годъ съ доставкой и пересылкой — | 6 руб. | 6 руб. | 10 руб. |
| „ полгода съ доставкой и пересылкой — | 4 руб. | 4 руб. | 6 руб. |
| „ одинъ мѣсяцъ съ доставк. и пересылк. | 1 руб. | 1 руб. | 1 руб. |

NB. Допускается разсрочка: при подпискѣ 3 руб. и въ Мартѣ остальные 3 руб. Выписывающіе 10 экземпляровъ получаютъ одинъ экземпляръ газеты съ приложеніями—книгами—безплатно.

Подписка принимается исключительно въ Главной Конторѣ газеты „ПРАВДА“. С.-Петербургъ Невскій преспектъ, домъ № 98.

*Издатель-редакторъ „ПРАВДЫ“ П. Н. Подлигайловъ.*

От Главной Конторы газеты «ПРАВДА».

ГЛАВНАЯ КОНТОРА принимаетъ также отъ петербургскихъ и иногородныхъ жителей объявленія для помѣщенія во всѣ русскія и иностранныя газеты и журналы по цѣнамъ редакцій, безъ всякаго возвышенія платы, а равно принимаетъ подписки на эти изданія также по цѣнамъ редакцій.

Кромѣ того ГЛАВНАЯ КОНТОРА исполняетъ всякаго рода порученія по выпискѣ всевозможныхъ книгъ и учебниковъ, какъ изъ своего книжнаго склада, такъ равно и изъ всѣхъ другихъ книжныхъ магазиновъ, взимая 5% за комиссію.

Для годовыхъ-же подписчикоъ „ПРАВДЫ“ всѣ эти порученія исполняются безплатно.

Всѣ порученія исполняются немедленно и аккуратно.

На отвѣты объязательно прилагаются почтовыя марки.

(3—3)

Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.

Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.

Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.


გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ქილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიჟარაძესთან.

Тифлисъ, Дов. цен. 12-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.